ბგირა, აგვისტოს 10 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 147

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲕᲔᲚᲐᲜᲐ

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ქუთაისში მყოფი ქართველი მსახიობები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას 10 აგვისტოს დილ. 11 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის პანაშვიდი ქართული სცენის მსახიობის აზანაგ

ლადო სარელის

სულის მოსახსენებლათ. 2—2

ᲩᲮᲐᲠᲘᲡ Უ. Დ. ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘᲐ

სამი ადგილი საზოგადო განათლების საგნების მასწავლებლისა. ცხოვრება ჩხარში თითქმის ორჯერ იაფია, ვიდრე თფილისში ან ქუთაისში და თან საუცხოვო ჰავა. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: ჩხარი. უმაღლეს დაწყ. სასწ. გამგეს. 3—3

ჭიათურის შავი ქვის მრეწველების აქციონერთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ 30 აგვისტოს 1919 წლისა, დღის 12 საათზე ჭიათურაში დანიშნულია

ᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ.

განსახილველი საკითხებია: 1) მოხსენება საზოგადოების გამგეობისა მისი მოქმედების შესახებ და განხილვა საკითხებისა, რომელნიც მოხსენებიდან გამომდინარეობს;

2) მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ.

და 3) ხარჯთაღრიცხვა 1919 წლისა. 3—2

მუშაობს ძმ. **ᲥᲝᲠᲥᲝᲚᲐᲫᲘᲡ** ხრესილის სამკურნალო **ᲐᲒᲐᲜᲝ**

იშოვება სუფთა ბინა, სასმელ საჭმელი.

მუშათა და ხელოსანთა კოოპერატივის საბჭოს წევრები საეოველთაოთ ამას აცხადებს წევრების საყურადღებოდ, რომ 10-ს აგვისტოს 1919 წ. დღით კვირა საღამოს 5 საათზე დანიშნულია არა ჩვეულებრივი

ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

გამგეს ჯამაგირის დასანიშნათ და სხვა და სხვა საქმეების განსახილველად. კრება მესამეთ არის დანიშნული და რამოდენიმე კრების წევრების გამოცხადებით კანონიერად ჩაითვლება.

ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲐᲡ. Ი. ᲛᲐᲭᲐᲕᲐᲠᲘᲐᲜᲘ

იღებს საბებიო, ქალთა ს ᲧᲠᲓᲔ მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ. ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—3

ᲗᲔᲠᲫᲐᲚᲘ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ

აკეთებს ნემსებს, უცრის ყვავილს, მასაჟს და სხვა. მისამართი გიმნაზიის ქუჩა. ნიკოლაძის სახლი, ნატარიუსი მოსიძის კანტორის ქვეშ. ტელეფონი № 104. 4—2.

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ.

სტამბოლიდან იუწყებიან: ხუთთა საბჭოს მიერ დიდი სომხეთის ექვსი ვილაიეტისა და კილიკიის საკითხი უკვე საბოლოოდ გადაჭრილია. და ტრაპიზონის ოლქიც სომხეთს შეუერთდებაო.

ეს ცნობა თუ მართალია, ლაზები—ტომით ქართველები—სომხეთის ქვეშევრდომებად უნდა გახდენ.

შეიძლება, სტამბოლიდან მიღებული ცნობა სავსებით მართალი არ იყოს. მაგრამ სომხების დიპლომატიის გამარჯვება უეჭველია: გამარჯვებულმა კოალიციამ სომხეთის მკვდრებით აღდგენა მიზნად დაისახა.

და, აბა, თუ ვისმე ხმა ამოიღია, რომ ლაზები, ისპირლები, ოლთის-არტაანლები და სხ. ქართველები არიან და საქართველოს მოქალაქეებადვე უნდ დარჩენ.

ეს—ჩვენი საგარეო პოლიტიკის სასტიკი დამარცხებაა.

მაგრამ ან კი რა საკვირველია: ის მთავრობა, რომელიც სოციალ-დემოკრატიამ წარმოშვა, სახელმწიფოს საზღვრებს დიდი ყურადღების ღირსად არა სთვლის.

,,საზღვრები ჩვენთვის კერპი, ფეტიში, არ არისო'' ამბობდა ,,ერთობა'' ამას წინეთ.

მაგრამ, უეჭველია, ვისაც სახელმწიფოს აშენება სწადია, მისთვის საზღვრები ფეტიშზედაც კი უმეტესია, ვინაიდან საზღვრები თუ სახელმწიფოს ეკონომიურ მთლიანობასა და სტრატეგიულ დანიშნულებას ვერ ამართლებენ, სახელმწიფო მერყევია, ნგრევადია.

აი მაგალითი. გერმანიას წაართვეს ქვანახშირის მაღაროები. ამან გამოიწვია გერმანიის მრეწველობის შესუსტება. გერმანიასვე გაუშიშვლეს სამხედრო საზღვრები. ამ ფაქტმა გერმანიის საერთაშორისო პოლიტიკური მნიშვნელობა ძირს დასცა. შედეგი? გერმანიიდან უკვე დაიწყო მასსიური გადასახლება სამხრეთ აფრიკაში.

მაგრამ გერმანელები—დიდი ერია და ამისი მასსით მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ.

საქართველო კი ჯერ ისედაც პატარაა და რა-ღა იქნება, ლორი-არტაან-ოლთის-ლაზისტანიც რომ ჩამოსჭრა?!

მერე რა ზნეობრივი უფლება აქვს სომხეთს საქართველოს ხსენებულ ნაწილებზე?! მარტო ის ხომ არა, რომ გამარჯვებული სახელმწიფოების წყალობა დაიმსახურა?!

მაგრამ ამ საქმეში ბრალს ვერც სომხებს დავსდებთ და ვერც გამარჯვებულ სახელმწიფოებს.

სომხებმა, რომ გამარჯვებულ კოალიციასთან სალაპარაკო საერთო ენა გამონახეს, ეს, პირიქით— მათი ღირსებაა.

და ჩვენი დიპლომატიის მარცხის მიზეზ. სწორეთ ის არის, რომ მოკავშირე დიდ სახელმწიფოებს მათთვის გაუგებარ ენაზე ელაპარაკება.

საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება ეს!

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ.

ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲗᲣ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲐ.

რევოლიუციამ მოსპო თავად-აზნაურობა, მაგრამ ააღორძინა სოციალ დემოკრატია.

ძველად გაბატონებულ კლასს, თავად-აზნაურობას ეძახოდენ. ჩვენში ისინი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ვერ ბატონობდენ, მაგრამ სახელწოდება მაინც ასეთი ჰქონდათ.

ეხლა გაბატონებულ კლასს სოციალ დემოკრატია წარმოადგენს. ძველად თუ თავად-აზნაურობა მარტო სახელით ბატონობდა; დღეს სოციალ-დემოკრატია რეალურად ბატონობს. იგი ყოველგვარი პრივილეგიით არის აღჭურვილი და შეიძლება ითქვას: ბრწყინვალე წოდებას წარმოადგენა.

მაგრამ ამ მხრით სოციალ-დემოკრატიას არა აქვს თავისი ტრადიცია.

ბევრი ასეთ პრივილეგიებს ვერ ეთვისება, მაგრამ რა ჰქნან. ისინიც მოყვენ საერთო გარდაქმნის ბადეში.

ძველად არც ისე ადვილი იყო თავადობის ან აზნაურობის მიღება. საჭირო იგი ერთგვარი დამსახურება, გმირის სახელის მოხვეჭა, რომ თავადობა ან აზნაურობა მიგელო. მაგრამ ეს ხდებოდა თანდათანობით. გლეხს აზნაურობას, მისცემდენ და აზნაურს კიდევ თავადობას.

ეს იყო იმ დროს როცა ჩვენ საკუთარი სამეფოები და სამთავროები გვქონდა. როდესაც გვყავდა მეფეები და მთავრები. თავადობის თუ აზნაურობის ბოძება, ეს იყო ერთგვარი დაწინაურება, დაჯილდოება თუ გნებავთ სამხედრო სამსახურში.

ასეთი დაჯილდოებით წარმოიშვა ჩვენში თავად-აზნაურობა. და მართლაც მათ ჰქონდათ ერთგვარი უპირატესობა.

მაგრამ ბატონ-ყმობის გადავარდნის დღიდან თავადაზნაურობის წოდება თითქმის გაუქმდა.

თაიგა-აზნაურობა [illegible] იყენენ მთავრობისა და განსაკუთრებით სასამართლოს წინაშე ისე როგორც სხვა წოდებათა წარმომადგენელნი საერთოდ.

სამსჯავრო ერთნაირად ეპყრობოდა ყველა წოდების და კლასის წარმომადგენელთ. არ იყო არავითარი გარჩევა.

მაინც თუ სარგებლობდა თავადაზნაურობა ერთგვარი პრივილეგიით, როცა რევოლიუციის ქარტეხილი ამოვარდა, გვეგონა უფლებრივად ყველა გათანასწორდებოდა, და ყველა თავისუფალი რესპუბლიკის თავისუფალი მოქალაქე იქნებოდა და არავითარ პივილეგიებს ადგილი არ ექნებოდა.

მაგრამ ასე არ მოხდა.

მოისპო არსებული წოდება, მაგრამ წარმოიშვა მეორე წოდება - სოციალ დემოკრატიული.

ისეთი პრივილეგიები გაბატონებულ კლასს, როგორც დღეს სოციალ დემოკრატებს აქვთ მინიჭებული, საშუალო საუკუნოებშიდაც არ ჰქონია.

თუ ძველად თავად-აზნაურობა მცხოვრებთა 5 პროცენტს არ აღემატებოდა, დღეს ახალი წოდება 90 პროცენტს უდრის.

და ეს 90 პროცენტი ყველა პრივილეგიებით არის აღჭურვილი. და ეს მოხდა ხელოვნურად.

დამფუძნებელმა კრებამ რომელიც სოც. დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს წარმოადგენს, ასე ისურვა. ასეთი უპირატესობით აღჭურვა სოც. დემოკრატიული პარტიის წევრები.

ხსენებული ჯურის ხალხი, ახალი წოდება თავისუფალია სამსჯავროს წინაშე, ეს წოდება პასუხს არ აგებს სასამართლოს წინაშე.

და ამაზე მეტი პრივილეგია შეიძლება?!

ამის შემდეგ ჩვენ ვეკითხებით მართველ პარტიას: რას ნიშნავს სიტყვა ,,ერთობა''.

ნუ თუ თანასწორობისათვის მისთვის იბრძოდენ, რომ რომელიმე კლასი გაებატონებიათ?

მაგრამ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რამდენიც არ უნდა ვწეროთ ჯერ ჯერობით სოც. დემოკრატიულ პარტიას დეპუტატთა თითები სჭარბობს.

და ეს თითები იყო და არის რომ საქართველოში ახალი წოდება შექმნა.

ნელი.

საქართველოს გარშემო.

საბერძნეთის პრესა და საქართველო.

ჩვენ მიერ მიღებულ გაზეთ „მესსაჟე დ'ათენ"-ის 11 ივლისის ნომერში მოთავსებულია მეთაური წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთი „მესსაჟე დ,ათენ" არის გამომხატველი იმ წრეების ზრახვებისა, რომლებიც ახლო დგანან საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. წერილი დაწერილია საბერძნეთში საქართველოს დელეგაციის ჩასვლის გამო და სათაურად აქვს „საქართველოს მისია საბერძნეთში".

„საგარეო საქმეთა მინისტრმა დიომიდისმა გუშინწინ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისია, ეს პატარა სახელმწიფოა—მეტად ძველი და ამავე დროს მეტად ახალგაზრდა, რადგანაც მისი აღმოცენება ეკთვნის ჯერ კიდევ ბრომეთეს ხანას და მისი აღორძინება ეხლანდელ სახით, ჯერ ორი წელიწადიც არაა რაც მოხდა—და ამ სახელმწიფოს სურს აღადგინოს საბერძნეთთან ძველი ურთიერთობა და იმედი აქვს, რომ აქ თავის საქმისთვის სიმპატიას ჰპოვებს. მისიის მოლაპარაკებამ საგარეო საქმეთა მინისტრთან და ყველა ოფიციალურ და არა ოფიციალურ პირებთან ნება მისცეს მას ეღიარებინა, რომ ეს სიმპატიები უკვე მოპოვებული აქვს ახალგაზრდა რესპუბლიკას: ბერძნის ხალხს, რომელიც თავისუფლებისათვის იბრძოდა და მისცა სიგნალი ემანსიპაციისა აღმოსავლეთში, არ შეუძლია ივაჭროს მეგობრობისათვის მათთან, რომლებიც იბრძოდნენ ამავე საქმისათვის. რაც შეეხება კომერციულ ურთიერთობას, ისინი არსებობენ, მხოლოდ [illegible] გახლტიკდეს".

შემდეგ იგონებს რა წინა დროინდელ ურთიერთობას ძველ საბერძნეთისა და კოლხიდას შორის მოკლედ აღნიშნავს რა საქართველოს ისტორიას, გაზეთი დიდი სიმპატიით ლაპარაკობს თანამედროვე საქართველოს შესახებ, მის ეხლანდელ სახელმწიფოებრივ წყობილებაზე და იმ როლის შესახებ, რომელიც გაზეთის აზრით, უნდა ითამაშოს საქართველომ კავკასიაში და ათავებს სტატიას შემდეგი სიტყვებით: „აქ არის ნიშნები და ტენდენციები, რომლებიც სერიოზულ ყურადღებას საჭიროებენ. ამ პატარა ეთნიურ ჯგუფებს ისეთივე უფლება აქვთ, როგორც ეს სთქვა ომის დასაწყისში ასე-ვიტმა, დაიჭირონ ალაგი მზის ქვეშ, როგორი უფლებაც აქვთ დიდ ხალხებს. მათ აქვთ უფლება ერთმანეთს დაუახლოვდენ, თანახმად თავის სიმპატიებისა. აძლიერებენ და იცავენ რა მათ, დიდი სახელმწიფოები აძლიერებენ თავის თავს ყოველი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა გამოჩნდეს ის".

„დიდი სომხეთი"

საფრანგეთის აკადემიკოსი ტენი გოშენი გაზ. „ფიგაროში" სწერს:

„სომხები ზავის შეკვრამდე ებრძოდნენ მტერს მოკავშირეთთან ერთად მათ გააძნელეს ოსმალების წინსვლა. ჩვენ უნდა გადაუხადოთ მით რომ შევქმნათ დიდი სომხეთი, კავკასიიდან დაწყობილი ადანამდე". (ნ. კ.)

ყარსის დაჭერა მაჰმადიანების მიერ

როგორც „აზერბაიჯანი" იუწყება ყარსის მაჰმადიანთა მოსახლეობა თავის დასაცავად გაერთიანდა და შეიარაღდა. სომეხთა თავდასხმისგან უზრუნველსაყოფად მათ ხელთ იგდეს ყარსში ძალა უფლება და ყარსის ციხე გაამაგრეს.

სომხეთის უმაღლესი მმართველის დანიშვნის გამო.

აღმოსავლეთში მყოფ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალმა საფრანგეთის მისიას თბილისში შეატყობინა შემდეგი, „მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ დანიშნა პოლკ. ჰასკელი სომხეთის უმაღლეს კომისრად, რომელიც იმოქმედებს საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის სახელით.

ამავე დროს უმაღლეს კომისარს დავალებული აქვს მიიღოს ზომები პროვინციების აღსადგენად.

მოკავშირეთა წარმომადგენლები და სარდლები რომელიც საქართველოში, აზერბაიჯანში და სომხეთში არიან პოლკ. ჰასკელს უნდა დაეხმარონ.

[illegible], რომელსაც ეხლა ფრანგი ოფიცრები მართავენ, არ შედის იმ ოლქების შემადგენლობაში, რომელნიც პოლკ. ჰასკელს დაემორჩილება. ჰასკელის დანიშვნაზე უნდა ეცნობოს ოფიციალურად გენ. დენიკინის ცნობისათვის."

კლემანსოს დეპეშა და სომხეთის მისია.

საქართველოში მყოფ სომხურ დიპლომატიურ მისიასთან არსებული საინფორმაციო ბიურო შემდეგს აცხადებს:

„ვინაიდან უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე კლემანსოს დეპეშა საქართველოს მთავრობისადმი ადგილობრივ პრესის ნაწილმა მიაწერა სომხეთის მთავრობის საჩივარს, რამაც გამოიწვია ბევრი არა მეგობრული ხასიათის გამოლაშქრება სომხეთის მთავრობის წინააღმდეგ, საინფორმაციო ბიურო სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიური მისიისა საქართველოში, სთვლის საჭიროთ განაცხადოს, რომ არც სომხეთის მთავრობას, არც მის რომელიმე ორგანოს არავითარ საჩივრებით საქართველოს მთავრობის მოქმედებაზე პარიზის საზავო კონფერენციისათვის და უმაღლეს საბჭოსათვის არ მიუმართავს".

ახალი ამბავი

ქუთაისი.

დენიკინის მორჩილება. თბილისიდან ჩამოსული პირის გადმოცემით გაზ. „კავკასკოე სლოვოს" გუშინ დეპეშები გამოუშვია სადაც ნათქვამია, რომ კოლჩაკმა და იუდენიჩმა დენიკინს მორჩილება გამოუცხადეს და სამხედრო უწყების უფროსობა დენიკინს გადასცეს.

✦ **წყალის სიძვირე თბილისში.** თბილისში ამ ჟამად საშინელი სიცხეებია. წყალ სადენის მილებში წყალი არ არის. დღეში ერთხელ ან ორჯელ გამოუშვებენ, მაგრამ წყალი დაუწმენდელია. ხალხი მინერალურ წყლებს აწყდება, რიგში სდგებიან და ერთი ჭიქა წყალისათვის დიდი ხნით უხდებათ ცდა.

✦ **სამუსილმანო საქართველოს გამთავისუფლებელი კომიტეტის მუშაობა.** როგორც ბათომიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ სამუსილმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობა დიდათ პოპულიარული და თვალსაჩინო გამხდარა, როგორც თვით მუსულმანებში, ისე თვით ინგლისელებისათვისაც. ისინი ყურადღებით ეპყრობიან მათ მუშაობას, ამ ბოლო დროს რთავენნე ბას მიტინგების გამართვისას და სხვადა სხვა ორგანიზაციის მოწყობისას. განმათავისუფლებელ კომიტეტს ქონია თავისი ფილიარული განყოფილება თითქმის ყველა თვალსაჩინო ცენტრებში.

✦ **ბათომის ქართული გიმნაზია.** ბათომის ქართული გიმნაზია მეტად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება, არ აქვს საკუთარი ბინა და საკმაო მასწავლებლებიც არ მოეპოება. გიმნაზიას მტრულად უყურებენ ადგილობრივი რუსობა, მოსალოდნელია, რომ გიმნაზია დაიკეტოს და 600 მოწაფე ქუჩაში დარჩეს. საჭიროა მეტი ყურადღების მიქცევა.

✦ **ვეძებთ საყიდლად** დ. ჩუბინაშვილის ქართულ რუსულ ლექსიკონს. მ[illegible] კითხვა შეიძლება გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში ნაკ. ასთანაანთან.

✦ **მ. დუნდუას ასულის** საქალაქო გიმნაზიაში პროფესიონალური განყოფილებით ვაკანსია იქნება საანბანო განყოფილებიდან—მეექვსე კლასამდის თხოვნების მიღება დაიწყება აგვისტოს 25-და ბალახვანის ქუჩაზე.

✦ **სომხის ლტოლვილები.** ბათომში დიდძალი სომხის ლტოლვილები ბრუნდებიან რუსეთიდან, მათში ხოლერა გავრცელებულია ლტოლვილებს ერევანში გზავნიან თბილისით.

ბათომის მდგომარეობა.

ბათომის მდგომარეობა კვლავ გამოურკვეველია; არვინ იცის ვინ არის მისი პატრონი. თუმცა მთელს ბათომის ოლქს ინგლისელები განაგებს, მაგრამ მართველობა კვლავ მასლოვის მიერ დაყენებულ ხულიგანურ ჩინოვნიკებს უპყრია ხელთ. ისინი ითვლებიან ფაქტიურათ ოლქის ბატონ-პატრონათ, და თავის სურვილებსამებრ მოქმედობენ, მათთვის არ არსებობს არავითარი კანონი. ადმინისტრაციაც მათ ხელშისულ ძველი რეჟიმის ჟანდრებია, ყავსთ აგრეთვე ადგილობრივი მოყიდული მუსულმანები. მათ მთავარ მოღვაწეობას შეადგენს, როგორმე გადმოიპირონ და მოიყიდონ იქაური მცხოვრებლები, ამისათვის დიდძალი დენიკინის ფული რიგდება აშკარათ და დაუფარველად. მაგრამ მათ ასეთ ბნელ მოღვაწეობის ჯერ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია მათვის, უმეტესი ნაწილი მკვიდრ მცხოვრებლებისა ჩვენს მხარეზეა, თითქმის ყველა შეგნებული და გათვითცნობიერებული ქართველი მუსულმანი ჩვენსკენ ისწრაფის და მათ ენერგიულ მოქმედებას უნდა უმადლოდეთ, რომ დენიკინს და ოსმალების აგენტების მოღვაწეობას ასეთი ნაკლები გასავალი აქვს ხალხში საერთოდ ქართველი მუსულმანები დიდი უკმაყოფილონი არიან მათი მართველობით, მათ პირდაპირ გადაჭრით უარი უთხრეს, იმ გადასახადებზე რომელიც მათ ოლქის სამართველომ გააწერა. თვით ბათომი უნუგეშო მდგომარეობაშია, აქ თავი მოუყრია დიდძალ სპეკულიანტებს და თავზე ხელაღებულ ავანტიურისტებს. სწარმოებს თითქმის სისტემატურად ცარცვა-გლეჯა და თავდასხმა. ამის წინააღმდეგ არავინ ზომებს არ ღებულობს თვით ადმინისტრაცია საეჭვო პირებითაა ავსებული, თუმცა ქალაქს იცავს ღამით ინგლისელთა ჯარის კაცთა ყარაულები, მაგრამ ისინი ძლიერ სუსტნი არიან ყაჩაღებთან და ავაზაკებთან ბრძოლაში. ვაჭ-

უმაღლესი საფეიქრო სკოლა ფინლანდიაში.

ფინლანდია, რუსეთის იმპერიის ყოფილი ნაწილი, ამ ჟამად წარმოადგენს ევროპიულად განათლებულ ქვეყანას. თანამედროვე ფინელთა მოქალაქობრივი განვითარება პირდაპირი შედეგია სწავლა-განათლების გავრცელებისა მათ შორის. ყოველი მოგზაური გაკვირვებულია იმ სამაგალითო წეს-რიგით, რომელსაც იგი ხედავს ამ „ათას ტბათა" სამეფოში.

მართლაც, მთელი ფინეთი ნამდვილი ტბების სამეფოა. აქ ბუნება ერთობ ღარიბია და ერთგვარი: გარშემო ხედავთ მხოლოდ კლდიან მთებს და ტბებს. ტბები და მთები! აი სურათი ფინეთის ბუნებისა. მიუხედავათ ამისა, შრომის მოყვარე და ფიზიკურად ძლიერმა ხალხმა თავისი კულტურა უმაღლეს წერტილამდი აიყვანა, განავითარა და გაამშვენიერა ცხოვრება იმ დიადი საშუალებით, რომელსაც ჰქვიან სწავლა-განათლება. კანონიერების და მშვიდობიანი ცხოვრების დამყარება, სამართლიანობა და ინდივიდუალური თავისუფლება აი თანამედროვე ფინელთა უმაღლესი მისწრაფება.

მცხოვრებთა რიცხვი ამ ქვეყანაში სამ მილიონზე ცოტა მეტია; მათ შორის ნამდვილ ფინელთა რიცხვი უდრის ორ მილიონ ორას ათასსა. აქ ამ ჟამად უკვე მოქმედობს 3 ათასი სახალხო შკოლა და 45 სახალხო უნ-ტეტი, სადაც სწავლა სისტემატიურად სწარმოებს; ლექციებს კითხულობენ პროფესორები და საუკეთესო ლექტორები. სახ. უნ-ტეტს აქ დაარქვეს საგლეხო აკადემია.

სტატისტიკური ცნობების მიხედვით წერა-კითხვის მცოდნე მთელ ფინლანდიაში 99 ფროც. შეადგენს; მაშასადამე ის უფრო მაღლა სდგას, ვიდრე საფრანგეთი, იტალია და სხვა ქვეყნები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ფინეთი ამ 70 წლის წინად სწავლა-განათლების მხრივ ნამდვილ არაბისტანის უდაბნოს წარმოადგენდა.

ხალხის ცხოვრებაში ასეთი ცვლილება, ვიმეორებ, იყო ბუნებრივი ნაყოფი მეცნიერული ცოდნის დემოკრატიზაციისა; ეს ცვლილება მოხდა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით.

ჯერ დაყვეს ქვეყანა საშკოლო ოლქებათ; ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოებს მთავრობამ პირველ ცნობით მიანიჭა ინიციატივა; ამ ორგანოებმა მაგრად მოჰკიდეს ხელი ამ დიად საქმეს; არ ზოგავდენ არავითარ ხარჯს, ოღონდ კი მიზანს მიეღწიათ. სხვადასხვა კულტურულ ქვეყნებში გაგზავნეს მასწავლებლები სწავლა-განათლების სისტემის გასაცნობად. 1872 წელს უკვე მუშაობდა 185 შკოლა. ათი წლის შემდეგ გაიხსნა 800; შემდეგ 18 წლის განმავლობაში 1900 წლამდი სხვა და სხვა ოლქებში გაიხსნა კიდევ 1000 შკოლა, ასე რომ 1901 წელს უკვე არსებობდა 1800 შკოლა. ხუთი წლის შემდეგ მასწავლებელთა რიცხვი ავიდა 2500-მდე. ჩემ მოგზაურობის დროს (1914 წ.) სამი ათასზე მეტი შკოლა არსებობდა მთელ ფინეთში იმ საშკოლო ტაბლიცის მიხედვით, რომელიც იქაურმა რედაქციებმა გადმომცეს.

გარდა სახალხო შკოლებისა, აქ დააარსეს ათასამდი საშუალო ტიპის სასწავლებლები, სადაც გამეფებულია რეალური სისტემა სწავლისა. ამ მიმართულებამ უკვე შესამჩნევი კვალი დასტოვა არა მარტო მეცნიერთა შრომაზე, არამედ ვაჭრობა-მრეწველობის და საერთოდ მთელი ქვეყნის აყვავებაზე.

ფინლიანდიაში უმეტეს ნაწილად ისეთი სასწავლებლები იხსნება, რომელნიც მოწაფეებს აძლევენ ცხოვრებისათვის საჭირო ცოდნას; სწავლა-განათლების პრაკტიკულ მხარეს აქ ნამეტან დიდ ყურადღებას აქცევენ. ამ მხრივ შესანიშნავია ერთი ტიპიური სასწავლებელი, რომელიც არსებობს ქალაქ **ტავასტგუსში**. აქ მცხოვრებთა რიცხვი 4,500-მდეა. ქალაქი არ გაგაკვირვებთ თქვენ არც სილამაზით, არც მოწყობილობით, არც ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებით; მაგრამ იგი თქვენ ყურადღებას მიიქცევს სწავლა-განათლების მხრივ. ამ პაწია ქალაქს თამამად შეგვიძლიან დავარქვათ ფინეთის ერთ-ერთ განათლების ცენტრი. აქ იმდენი სხვადასხვა ტიპის სასწავლებელია, რამდენიც მთელ თიანეთის მიყრუებულ მხარეში არც კი იქნება.

აი ტავასტგუსის სასწავლებელთა რაოდენობა: 1. რვა კლასიანი ლიცეი (ვაჟებისთვის) 2. საოსტატო სემინარია. 3. საქალებო ფინური გიმნაზია. 4. საქალებო შკოლური გიმნაზია. 5. რეალური სასწავლებელი. 6 და 7. ორი უმაღლესი სახალხო შკოლა ქალ-ვაჟთათვის, 1. ერთი

ქალაქის ანთებვა.

გამთბარ ქალაქში დაიგუბა საშინელება.
რუხი ქუჩები იცინიან ყვითელ ლანდებით.
მოწყინდათ სახლებს მუდამ მტვერის გამონელება.
კვდება დაისი ლალისფერი გირლიანდებით.
სულით აშაყნი ვერ ტკბებიან მჭკნარ სურათებით,
და გახელდება ავათმყოფით შავი კარეტა.
ღალდება თვალი აჭრელებულ პრეისკურანტებით.
მძიმე ჰაერი დამიწებულ ფიქრით გარეტდა.
განაცრისფერდა პეიზაჟი შავად ნალაქი,
ჭლექად უკვდება მწვანე ქალწულს ცელქი ძმობილი.
ფერდაკარგული იკუნტება მწყრალი ქალაქი
დასევდიანდა უჩვეულოთ სულის პროფილი...
— მოულოდნელათ აენთება ოქროს შანდალი
ახმაურდება გიჟურ ცეკვით მკვდარი ქუჩები,
თავდადებულათ შემოიჭრა ცეცხლის სკანდალი;
ათამაშდება სინეტებით ლალის ტუჩები.
გაქარიშხალდა ხმაურობა კვალინდებურათ
ომს უცხადებენ დადუმებას კვლავ აპაშები
და რომ სუყველა აქობამდი გარინდებულხართ
ახლა გაგიჟდით მოუთმენელ მწველი ტაშებით.

17 ივნისი.

კ. შენგელაია.

უცხოეთის ამბები.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სომხეთის საკითხი.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ თანახმად უკანასკნელ კანონებისა, სომხეთის საკითხი ხუთთა საბჭოში გაირჩევა. ექვსი ვილაეთის და კილიკიის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია ტრაპიზონის ოლქი სომხეთს შეუერთდება. ქ. ტრაპიზონის ბედიღბალი ჯერ ისევ გამოურკვეველია. („ნ. აშხ.)

ფრანგი კომუნისტები ადესაში.

ამ დღეებში ოდესას მოუახლოვდა საფრანგეთის ერთი ნაღმოსანი და მოითხოვა, რომ მათ გადასცენ გენ. ანსელმის ჯარიდან 259 ფრანგი ჯარის ტყვედ დარჩენილი კაცი.

ამ მოთხოვნილების ასასრულებლად ნაღმოსანმა ოდესის მთავრობას 24 საათის ვადა მისცა. ბოლშევიკებს ამ მოთხოვნაზე არ უპასუხნიათ და ამისთვის ფრანგებმა ქალაქ ოჩაკოვს ნავებით ალყა შემოარტყეს. (ნ. აშხ.)

ბოლშევიზმის ბუდე.

„ჟურნალ დე-დება“ იუწყება, რომ შვეიცარია ითვლება გერმანულ ბოლშევიზმის პროპაგანდის ბუდედ. ეს საქმე ცხადად ირკვევა შვეიცარიის ბოლშევიკურ მოღვაწეების წრეში მომხდარ დაპატიმრების შემდეგ.

აღმოსავლეთი გალიცია.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, საზავო კონფერენციის კომისიამ, რომელიც პოლონეთის საკითხზე მუშაობს, პოლონეთთან ხელშეკრულების დამტკიცება დადაიწყო აღმოსავლეთ-გალიციის მართვის პროექტის შედგენა.

აფრიკის დაყოფა.

ბელგიის დელეგატებმა საზავო კონფერენციას მოხსენება წარუდგინეს იმ საფუძვლების შესახებ, რომელზედაც დაეყრდნობა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომელიც უმთავრესად აფრიკის დაყოფას ეხება. ბელგია თანახმაა გადასცეს ინგლისს თავის სამფლობელოთა ნაწილი კონგოში და ტანგამაიკის ტბის მიდამოებში. სამაგიეროდ ბელგია მიიღებს აღმოსავლეთ-აფრიკაში გერმანულ ახალშენებს.

ბერძენ-ოსმალთა ხელშეკრულება

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთმა მიჰმართა ვენიზელოსს, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ბერძენ-ოსმალთა შორის საგანგებო ხელშეკრულობა დაიდოს. (ნ. აშხ.)

ქალების კონგრესი.

ლოზანში მკათათვის პირველ დღეებში ქალების ინტერნაციონალური კონგრესი გაიხსნა. (ან. აშხატ).

პალესტინა და დაღესტანი.

ხალხთა ლიგამ ებრაელებს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ებრაელების 7 მილიონი ხალხი უნდა გაჰგზავნოს პალესტინას დასასახლებლად. უკვე ერთი მილიონი ებრაელები მზად არის რუსეთიდან გასამგზავრებლად. ამერიკელი სიონისტები პალესტინის აღსადგენად ინჟინრებსა და სხვა სპეციალისტებს ჰგზავნიან.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

მარიამობისთვის 8-ს.

გერმანული პრესა.

მდგომარეობა ჰუნგრეთში. უმაღლესი საბჭოს მიერ დღეს მიღებული ცნობები ბუდაპეშტში რუმინელების შესვლას ადასტურებს. ბუდაპეშტში საჩქაროდ გაიგზავნება პარიზიდან სამხედრო მისია. იმ აზრის არიან, რომ რუმინელებმა პასუხი უნდა აგონ წინააღმდეგ მოკავშირეთა გაფრთხილებისა ჰუნგრეთის დედა ქალაქში შესვლის გამო და როგორც სჩანს განკარგულებას გასცემენ, რომ რუმინიის ჯარი იქიდან გავიდეს. უმაღლესი საბჭო ჯერჯერობით კმაყოფილია ახალი მთავრობით, ეხლავე ბლოკადის მოხსნას და ჰუნგრეთში სურსათის გაშვებას აპირებს. ლიონიდან იუწყებიან, რომ ბუდაპეშტში რუმინიის ჯარების შესვლის დროს არავითარი უთანხმოება არ მომხდარა. რუმინელებმა ყველა საზოგადოებრივი შენობები დაიჭირეს და საკონლის შემოზიდვა გაადვილეს.

ბუდაპეშტის მოკავშირეთა სამხედრო კომისია. ბუდაპეშტში მიმავალ სამხედრო კომისიაში შედიან გენ. გარციანი (საფრანგეთი), გენ. ბანდპოლსი (შეერთებული შტატ.) გენ. კარტენა (დიდი ბრიტანია) და გენ. ბოლეველი (იტალია). მისიამ მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ჰუნგრეთის მთავრობის მოქმედებას და წითელი ჯარის დანიშნულ ვადამდე დაშლას.

რუმინიის ჯარი ჰუნგრეთში. უკანასკნელ ცნობებით, ბუდაპეშტში შესულ რუმინიის ჯარში 30,000 კაცი შედის. ჰუნგრეთის მთავრობამ მოკავშირეებს დახმარება სთხოვა იმ იმედით, რომ რუმინელები მალე გავლენ უნგრეთიდან. მაგრამ რუმინიის პრესა აცხადებს, ეხლა კი რუმინიას სურს გადამწყვეტი სიტყვა სთქვას უნგრეთის ბედის შესახებ რადგანაც რუმინია ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო უნგრეთში წესიერების დასამყარებლადაო.

მოკავშირეთა პრესა ჰუნგრეთის ამბებზე.

„პტი-პარიზიენი“ სწერს: „ბელგიელნის მემკვიდრეები აცხადებენ, რომ მათ მიერ შექმნილი მთავრობა წმინდა, სოციალისტური იქნება. ჩვენ არ ვიცით რა განსხვავებაა. ამ მთავრობასა და კომუნისტების დიქტატურის შორის. არის, რამდენიმე, კაცი, რომლებიც საბჭოთა მთავრობას ეკუთვნის, რაც გვაიძულებს ჩვენ ფრთხილად ვიყოთ... (გამოტოვებულია.) ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გამოჩნდა სამეული, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო სამხედრო ტყვეების ორგანიზაციაში. ჰაბსბურგის ჩამოგდების შემდეგ სამეული დაბრუნდა უნგრეთში და სოციალისტურ-გადატრიალების მოსამზადებლად მუშაობდა. ჯარისკაცთა შორის ის, როგორც ორატორი დიდის პოპულიარობით სარგებლობდა. მას შემდეგ, რაც ჰუნგრეთში სოციალური გადატრიალება მოხდა და საბჭოთა მთავრობა დამყარდა, სამეული მთავრობაში სამხედრო კომისარიატში კოლეგიის წევრად შეიდა და უნგრეთის ჯარის ორგანიზატორი იყო, მონაწილეობას იღებენ რუმინიის ხალხის წინააღმდეგ. სამეული ნამდვილი რევოლიუციონერი იყო, მასში თუ არა მარტო უნგრეთის არამედ მთელი ქვეყნის პროლეტარიატმა დაჰკარგა ნამდვილი იდეური ბელადი.

სტამბოლის მანდატის გარშემო. სტამბოლის მანდატის საერთაშორისო კომისიის ამერიკის სექციამ უკანასკნელ დეპეშებში მოისმინა მოხსენება სტამბოლის სხვადასხვა ეროვნულ და პოლიტიკურ პარტიების შეხედულებათა შესახებ სირიის და პალ. კომისიებმა 15 წ. ვადა მისცეს დელეგატებს პასუხის მისაცემად. ოსმალეთის პარტიათა წარმომადგენლები მოიწვიეს, რათა თავისი შეხედულება და სურვილები გამოეთქვათ სრუტეების ნეიტრალიზაციის შესახებ. (გამოტოვებულია) სომხეთის საკითხის გადაჭრის შესახებ ვერაფერი სთქვეს თუმცა ეს საკითხი სინამდვილეში ადვილად გადასაჭრელია. ოსმალური პრესა სცდილობს ადადგინოს მდგომარეობა რომელიც დელეგატების დამარცხებაში გამოიხატა სომხეთის საქმეების განხილვის დროს.

ჰოლანდიის საკითხი. ლიონიდან იუწყებიან, რომ ყოველ დღე იმართება იმ კომისიის სხდომა, რომელსაც 1839 წ. ხელშეკრულობის გადასინჯვა აქვს მინდობილი კომისიაში მონაწილეობას იღებენ როგორც ბელგიის ისე ჰოლანდიის წარმომადგენელნი. იმედი აქვს შეთანხმების მიღწევისა, რაც კონფერენციას გადაეცემა დასამტკიცებლად. კამათს იწვევს შელდა ბელგიელებს დაუშვებლად მიაჩნიათ ეხლანდელი მდგომარეობა, რადგან თუ ომი მოხდა ინგლისს არ შეეძლება დასახმარებლად ჯარების გამოგზავნა. ისინი აცხადებენ რომ არავითარ ანექსიას არ ისახავენ მიზნად და მხოლოდ მოითხოვენ სამხედრო გარანტიას, და გენტისა და ანტვერპენისთვის სამუდამო თავისუფალ გასავალს ზღვისკენ. ჰოლანდიას პასუხი ჯერ არ წარმოუდგენია, მაგრამ მისი წარმომადგენლების სიტყვით, ჰოლანდიას სურს მიუთითოს უკანასკნელ 80 წ.. ანტვერპენის ვაჭრობის არაჩვეულებრივ ზრდაზე, რაც იმას ამტკიცებს, რომ 1836 წლიდან ჰოლანდიას არცერთხელ ბოროტად არ გამოუყენებია შელდის შესართავი მფლობელობა და ბელგიის ვაჭრობას არ აფერხებდა. ამბობენ, ჰოლანდია შემდეგს იტყვისო: „ვილსონის ძირითადი პრინციპი ის არის, რომ ომმა სრულიად შეცვალა ნეიტრალიტეტის მცნება, რაც შესაძლებელს გახდის შეთანხმებას, რომლის ძალითაც თუ შეტაკება მოხდა შელდას გახსნის ბელგიის დასახმარებლად გაგზავნილ ბრიტანიის ფლოტისთვის მაშინ, როდესაც ამაზე უარს იტყვის თავდამსხმელი მხარე, „ამის გამო კომისიის წევრები სცდილობენ შეთანხმდნენ. საერთო აზრი ისეთია, რომ შეთანხმება მოხდება. ბელგიელები გრძნობენ, რომ

რები და კომერსტანტები შეშინებულნი არიან ამ მდგომარეობით. თუ ამდენხანს ყველა ლტოლვილი და დარბეული კაპიტალისტები აქეთ ისწრაფოდენ, ეხლა ბათომს სტოვებენ. ინგლისის ჯარი თანდათანობით გადის ბათომიდან, აქ ამის გამო ორი აზრია გავრცელებული.

ერთნი ამბობენ, რომ ინგლისელების წასვლის შემდეგ აქ დესანტს გადმოსხამს მოხალისეთა არმიელები. ამ ხმებს აშკარად ავრცელებს აქაური დენიკინის მომხრეების ორგანიზაციები და მათი პრესა გაზ „ნაშ კრაი“ მეორენი დაბეჯითებით ამბობენ, რომ აქ შემოვა ქართული ჯარის ნაწილები ქართული ლეგიონის სარდლის კვრესელიძის მეთაურობით.

ივერიკა.

უცხოეთის ამბები.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სომხეთის საკითხი.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ თანახმად უკანასკნელ კანონებისა, სომხეთის საკითხი ხუთთა საბჭოში გაირჩევა. ექვსი ვილაეთის და კილიკიის საკითხი საბოლოოდ გადაჭრილია ტრაპიზონის ოლქი სომხეთს შეუერთდება. ქ. ტრაპიზონის ბედიღბალი ჯერ ისევ გამოურკვეველია. („ნ. აშხ.)

ფრანგი კომუნისტები ადესაში.

ამ დღეებში ოდესას მოუახლოვდა საფრანგეთის ერთი ნაღმოსანი და მოითხოვა, რომ მათ გადასცენ გენ. ანსელმის ჯარიდან 259 ფრანგი ჯარის ტყვედ დარჩენილი კაცი.

ამ მოთხოვნილების ასასრულებლად ნაღმოსანმა ოდესის მთავრობას 24 საათის ვადა მისცა. ბოლშევიკებს ამ მოთხოვნაზე არ უპასუხნიათ და ამისთვის ფრანგებმა ქალაქ ოჩაკოვს ნავებით ალყა შემოარტყეს. (ნ. აშხ.)

ბოლშევიზმის ბუდე.

„ჟურნალ დე-დება“ იუწყება, რომ შვეიცარია ითვლება გერმანულ ბოლშევიზმის პროპაგანდის ბუდედ. ეს საქმე ცხადად ირკვევა შვეიცარიის ბოლშევიკურ მოღვაწეების წრეში მომხდარ დაპატიმრების შემდეგ.

აღმოსავლეთი გალიცია.

როგორც ლონდონიდან იუწყებიან, საზავო კონფერენციის კომისიამ, რომელიც პოლონეთის საკითხზე მუშაობს, პოლონეთთან ხელშეკრულების დამტკიცება დადაიწყო აღმოსავლეთ-გალიციის მართვის პროექტის შედგენა.

აფრიკის დაყოფა.

ბელგიის დელეგატებმა საზავო კონფერენციას მოხსენება წარუდგინეს იმ საფუძვლების შესახებ, რომელზედაც დაეყრდნობა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულება, რომელიც უმთავრესად აფრიკის დაყოფას ეხება. ბელგია თანახმაა გადასცეს ინგლისს თავის სამფლობელოთა ნაწილი კონგოში და ტანგამაიკის ტბის მიდამოებში. სამაგიეროდ ბელგია მიიღებს აღმოსავლეთ-აფრიკაში გერმანულ ახალშენებს.

ბერძენ-ოსმალთა ხელშეკრულება

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთმა მიჰმართა ვენიზელოსს, რომ საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ბერძენ-ოსმალთა შორის საგანგებო ხელშეკრულობა დაიდოს. (ნ. აშხ.)

ქალების კონგრესი.

ლოზანში მკათათვის პირველ დღეებში ქალების ინტერნაციონალური კონგრესი გაიხსნა. (ან. აშხატ).

პალესტინა და დაღესტანი.

ხალხთა ლიგამ ებრაელებს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ებრაელების 7 მილიონი ხალხი უნდა გაჰგზავნოს პალესტინას დასასახლებლად. უკვე ერთი მილიონი ებრაელები მზად არის რუსეთიდან გასამგზავრებლად. ამერიკელი სიონისტები პალესტინის აღსადგენად ინჟინრებსა და სხვა სპეციალისტებს ჰგზავნიან.

დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

მარიამობისთვის 8-ს.

გერმანული პრესა.

მდგომარეობა ჰუნგრეთში. უმაღლესი საბჭოს მიერ დღეს მიღებული ცნობები ბუდაპეშტში რუმინელების შესვლას ადასტურებს. ბუდაპეშტში საჩქაროდ გაიგზავნება პარიზიდან სამხედრო მისია. იმ აზრის არიან, რომ რუმინელებმა პასუხი უნდა აგონ წინააღმდეგ მოკავშირეთა გაფრთხილებისა ჰუნგრეთის დედა ქალაქში შესვლის გამო და როგორც სჩანს განკარგულებას გასცემენ, რომ რუმინიის ჯარი იქიდან გავიდეს. უმაღლესი საბჭო ჯერჯერობით კმაყოფილია ახალი მთავრობით, ეხლავე ბლოკადის მოხსნას და ჰუნგრეთში სურსათის გაშვებას აპირებს. ლიონიდან იუწყებიან, რომ ბუდაპეშტში რუმინიის ჯარების შესვლის დროს არავითარი უთანხმოება არ მომხდარა. რუმინელებმა ყველა საზოგადოებრივი შენობები დაიჭირეს და საკონლის შემოზიდვა გაადვილეს.

ბუდაპეშტის მოკავშირეთა სამხედრო კომისია. ბუდაპეშტში მიმავალ სამხედრო კომისიაში შედიან გენ. გარციანი (საფრანგეთი), გენ. ბანდპოლსი (შეერთებული შტატ.) გენ. კარტენა (დიდი ბრიტანია) და გენ. ბოლეველი (იტალია). მისიამ მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ჰუნგრეთის მთავრობის მოქმედებას და წითელი ჯარის დანიშნულ ვადამდე დაშლას.

რუმინიის ჯარი ჰუნგრეთში. უკანასკნელ ცნობებით, ბუდაპეშტში შესულ რუმინიის ჯარში 30,000 კაცი შედის. ჰუნგრეთის მთავრობამ მოკავშირეებს დახმარება სთხოვა იმ იმედით, რომ რუმინელები მალე გავლენ უნგრეთიდან. მაგრამ რუმინიის პრესა აცხადებს, ეხლა კი რუმინიას სურს გადამწყვეტი სიტყვა სთქვას უნგრეთის ბედის შესახებ რადგანაც რუმინია ერთად ერთი სახელმწიფოა, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო უნგრეთში წესიერების დასამყარებლადაო.

სამოქალაქო შკოლა. 9. საკვირაო შკოლა მუშებისათვის (სამაგალითოდ მოწყობილია ეს სასწავლებელი) 10. ეგრედ წოდებულ „თავისუფალ ეკლესიის“ საკვირაო შკოლა; 11. ტუსაღებისათვის არსებობს ცალკე ტუსაღების შკოლა. 12. ეგრედ წოდებული გამასწორებელი შკოლა, 13. შკოლა რუსებისთვის და 14. **უმაღლესი საფეიქრო შკოლა.**

ამ პატარა სტატიაში მე მსურს მკითხველს აუწერო ეს უკანასკნელი შკოლა, რომელით ქალაქს ტავასტგუსის შვებას შეადგენს. აქ ასწავლიან ტილოს, ხალიჩების და სხვა და სხვა მატერიების კეთებას. საქმე დაყენებულია ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე. ამ შკოლის მოწაფეები ისეთ მაღალ ღირსების საქონელს ამზადებდენ, რომ მრავალ გამოფენებზე დაასაჩუქრეს ოქროს მედლებით როგორც თვით ფინეთში, ისე საზღვარ-გარეთაც.

ტავასტგუსის საფეიქრო შკოლაში ორი კურსია, მხოლოდ თითო კურსი გრძელდება ორი წელიწადი; ამგვარად მოწაფე ფეიქრობის ხელობას სწავლობს ორი წლის განმავლობაში.

შკოლაში იღებენ ორივე სქესის მოსწავლეს. ქალ-ვაჟნი ერთად მეცადინეობენ.

დაბალ კურსებზე, ფეიქრობის გარდა, ასწავლიან არითმეტიკას, ისტორია-გეოგრაფიას, სატეხნიკო ხატვა—ხაზვას და შვედურ—ფინურენებს. რაც შეეხება უმაღლეს კურსებს, აქ განაკუთრებით ყურადღებას აქცევენ საქმის პრაკტიკულად შესწავლას. ამ შკოლამ უკვე აღზარდა ბევრი ისეთი შესანიშნავი სპეციალისტი, განსაკუთრებით ქალები, რომელთა შემწეობით მთელ ფინეთში გასაოცარი სისწრაფით განვითარდა ფეიქრობის საქმე.

ამ უმაღლეს საფეიქრო კურსებზე იღებენ მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც კურსი გათავებული აქვს პირველ დაწყებით შკოლაში..

ამავე სასწავლებელში დაარსებულია **განყოფილება მასწავლებელთა მოსამზადებლად** ვინც ამ განყოფილებას გააათავებს, იგი იღებს დიპლომს. რა ძალა აქვს ამ ქაღალდს?.. იგი აძლევს არა მარტო საფეიქრო შკოლის მასწავლებლობის უფლებას, არამედ ამავე ტიპის შკოლის გახსნის უფლებასაც.

ამ სამაგალითოთ დაყენებულ საფეიქრო შკოლას ბევრი მოგზაური, განსაკუთრებით ევროპიელები ათვალიერებს ხოლმე. საერთოდ ფინეთში წეასდ არის შემოღებული ის კარგი ჩვეულება, რომელიც შვეცია—ნორვეგიაში გავრცელებულია: ყველას შეუძლიან შკოლის ნახვა, არა მარტო დათვალიერება, უფლება აქვს გაკვეთილებზედაც დაესწროს...

გასაკვირველია ის გარემოება, რომ რუსები სამაგალითო საფეიქრო შკოლას თითქმის არ იცნობდენ; აქაურ მოწაფეთა მიერ დამზადებული საქონელი რუსეთში სრულებით არ იყო გავრცელებული; ევროპაში კი ტავასტგუსის საფეიქრო შკოლამ კაი ხანია, რაც ღირსეული სახელი მოიპოვა...

ერთ განვითარებულ რუსის მოხელეს, რომელიც ფინეთში მსახურობდა, მე ვკითხე—რატომ არ ავრცელებთ ასეთ მშნვენიერ საქონელს რუსეთში მეთქი; იმან მიპასუხა—ამის მიზეზი—მაღალი სადამოწმო გადასახადიო... აქ ბრალი სავსებით ედება რუსეთის მთავრობასს და არა თვით ფინელებსაო...

ალ. გარ! ევანიშვილი.

ომის დროს ჰოლანდია უფრო გერმანოფილურად იქცეოდა და ეჭვის უყურებენ ყოველ გვარ შეთანხმებას, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს ვარდა ნეიტრალიტეტის ახალი მცნებისა, მაშინ, როდესაც ჰოლანდიელები აღშფოთებულები არიან ბელგიელთა გადამეტებულ შიშით. პუბლიცისტები ყველაფერში ბელგიის იმპერიალიზმს სდებენ ბრალს.

ბოლშევიკური ცნობები.

ჩიჩერინის წერილი მოსკოვი, აგვისტოს 7. ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი.

მოსკოვი. აგვ. 7. ჩიჩერინი გაზ. „პრავდა"-ში ჩვენ მიერ ხელში ჩაგდებულ კასპიის ზღვაზე გრიშონ ალმაზოვის საბუთების შესახებ სწერს: რუსეთის ძველ საზღვრებში ახალ სახელმწიფოების შექმნა დენიკინს უდიდეს უბედურებათ მიაჩნია.

გრიშინის საბუთები, რომელიც ოდესის საქმეებს ეხება, სავსეა ცნობებით, რომ პეტლიურას ჯარსა და მოხალისეთა შორის სულ მუდამ უთანხმოება იყო. არსკი „იზვესტიაში" აღნიშნავს ლიონიდან მოსულ რადიოს ცნობას, რომ ლიუცერნის კონფერენციის ბელადები და სოციალისტ შემთანხმებლები საბერძნეთის ყოფილ დედოფალს სოფიოს და კაიზერის შვილს პრინც ფრიდრიხს და სხვა ამგვარ პირებს ებრძვიან და სწერს: ყოფილ მეფეების შესაფერი კომპანია შეიკრიბა. მუშები და განდევნილები სხნდებიან კონგრესზე და ინტერნაციონალის რეორგანიზაციაზე ერთად მსჯელობენ. ეს კომპანია ზეიმით მიესალმება ჰუნგრეთის მენშვიკებს, რომელთაც არა ჩვეულებრივი გამცემლობა ჩაიდინეს".

დენიკინის კონტრიბუცია კიევი, აგვ. 6. დენიკინის ჯარმა დაბა ვერხიეროგაჩის 3 მილიონი მანეთი კონტრიბუცია დაადო, ხარკოვში გაზეთებზე წინასწარი ცენზურა შემოიღეს. მოხალისეთა ჯარის სასარგებლოდ ფულის შეკრებამ ცუდად ჩაიარა. ქალაქი ტერორის ქვეშ არის. მთელი რიგი დაწესებულებებისა მომხრეა, რომ ოკრეტი მუშათაოვის საყოველთაო სწავლების შესახებ ცხოვრებაში გაატარონ.

გრიგორიევის მოკვლა. კიევი აგვ. 6. ცნობა გრიგორიევის მკვლელობის შესახებ მართლდება. რაკოვსკიმ ალეკსანდრიიდან უკრაინის თავდაცვის საბჭოს საგანგებო კომისარისაგან დეპეშა მიიღო სადაც ოფიციალურად იუწყებიან, რომ გრიგორიევი და ტერეშჩენკო თავისი შტაბით მახნოველებმა დახოცეს.

პეტლიურას დამარცხება კიევი, აგვ. 6. ვოლინეის ბრბო და პეტლიურას ცხენოსანი რაზმი ხრისტინოვკაში დავამარცხეთ. პოტაშის რაიონში ხელში ჩავიგდეთ ზარბაზნები და ტყვის მფრქვეველები ბრბოს დევნა გრძელდება.

„წითლების" წამება. სიმარა. აგვ. 5. ურალის ოლქში, სოფ. ტაშლინსკში ბჭიმის და ორი სამხედრო კომენდანტის თანადასწრებით გათხარეს ორი საფლავი, სადაც მცხოვრებლების თქმით უნდა ყაზარმებისაგან ნაწამები წითელი ჯარის კაცები ემარხა. ნახეს 12 შიშველი გვამი რომელთაც უმეტეს ნაწილათ მოჭრილი აქვთ ცხვირი, ხელები და დასახიჩრებული თავები.

მდგომარეობა ჰუნგრეთში. ნაუენი. აგვ. 6. ჰუნგრეთში. კერძოთ ბუდაპეშტში.

ინგლისური პრესა

პუკარე ელზას ლორენში. მაინციდან იუწყებიან, რომ პუანკარე აგვისტოს 18 ს ელზას-ლორენში მიემგზავრება და ზოგიერთ იქაურ ქალაქს საპატიო ლეგიონის ორდენს გადასცემს.

კოეფერენცია და ჰუნგრეთის სასითხი. ბელაკუნის გადადგომის და ჰუნგრეთში ახალი უმეტეს ნაწილად კონსერვატორ სოციალისტებისაგან შემდგარ, მთავრობის ხელში — ძალა-უფლების გადასვლის შემდეგ საზავო კონფერენციისთვის შედარებით მშვიდობიანი დრო დადგა. საზავო კონფერენციას მხოლოდ იმის ეშინიათ, რომ რუმინელებმა შეტევა არ განაგრძონ. თუ რუმინიამ ჰუნგრეთი დაიპყრო, ახალი სიძნელე შეიქმნება. გუშინ საზავო კონფერენციამ განაკარგულება გასცა, რომ რუმინელებს შეტევა შეეწყვიტნათ, მაგრამ დეპეშა ან არ მისულა ან და სტრატეგიულ და სხვა მოსაზრებით რუმინელებმა განკარგულება არ შეასრულეს.

საზავო კონფერენციამ ჰუნგრეთში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა.

მესამე ძალა ჰუნგერეთში ჰუნგრეთში მდგომარეობას უფრო ართულებს ის გარემოება რომ ჩრდილოეთიდან წინ მოიწევს ეროვნული არმია, რომელიც ჰუნგრეთის წინანდელ კონსენვატიულ პარტიის ნაშთებია და ბელაკუნის წინააღმდეგ იბრძოდა აქამდე. მდგომარეობას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარ ჯარზე დაყრდნობა, რუმინელების ჰუნგრეთში შესვლა და ეროვნულ არმიის ჩრდილოეთიდან წინსვლა პარიზში შიშს იწვევს, დღეს ცნობა მოვიდა, რომ ახალი მთავრობა მიუხედავათ თავისი სოციალისტურ შემადგენლობისა ბურჟუაზიას და გლეხებს ავანსებს აძლევს. თუ ახალი მთავრობა გაამტკიცდა, კონფერენცია ღაუბრუნდება უნგრეთის ხელშეკრულების პირობათა განხილვას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი მთავრობა საბოლოოვ არ იქნება, რადგან ის სოციალისტ მუშებისაგან შესდგება მაშინ, როდესაც საჭიროა მუშათა, გლეხთა და საშუალო კლასის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოალიციონური მთავრობა. სამწუხაროა აგრედვე ისიც. რომ მთავრობაში შედიან ისეთი პირები, რომლებსაც ბოლშევიკურ მოძრაობაში წილი ედოთ.

დეკრეტი

საქართველოს ქალაქებისა და მაზრის ერობათა სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადის შემოღებისა.

1. ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრედვე გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად, შემოღებულ იქმნეს საგანგებო ერთდროული სანიტარული გადასახადი ქალაქებში — ქალაქის თვითმართველობათა და სოფლებში კი — მაზრის ერობათა სასარგებლოდ.

2. ეს გადასახადი უნდა დაევალოს: ა) იმ პირთ, რომელთაც შემოსავალი ჯამაგირის სახით ჰქონდათ, თუ რაოდენობა მთელი ჯამაგირისა ამა წლის ივნისში აღემატებოდა ქ. თბილისში 1000 მან., ქ. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში 900 მ., საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში კი 800 მან.

ბ) ყოველ თავისუფალ პროფესიის პირს, სახელდობრ ექიმებს, ვეჭილებს, ხუროთმოძღვრებს, ბეითლებს, ფერშლებს და სხ.

გ) უძრავი მამულების პატრონებს, სავაჭრო-სამრეწვე და ყოველგვარ სატრაქტირო დაწესებულებას და სოფლის მესაკუთრე მეურნეებს.

3. ამ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან: ა) მოსამსახურე პირნი, რომელთა ჯამაგირი არ აღემატება მეორე მუხლში აღნიშნულ რაოდენობას შემოსვლისას. ბ) სხვა სახელმწიფოთა ჯარსა და მისიებში მოსამსახურე უცხოელები.

4. სამსახურში მყოფნი პირნი ჯამაგირიდან გაიღებენ ამ გადასახადს ქვემოთ აღნიშნული ცხრილის მიხედვით.

1. ქალ. თბილისში ვინც იღებს:

1001 მ.	1200 მ.	1	პროც.	10—12 მ.
1201 „	1500 „	2	„	24—36 „
1501 „	2000 „	3	„	45—60 „
2001 „	2500 „	4	„	80—100 „
2501 „	3000 „	5	„	125—150 „
3001 „	4000 „	7	„	210—280 „
8001 „	5000 „	10	„	400—500 „
5001 „	6000 „	13	„	150—900 „
6001 „	8000 „	20	„	1200—1600 „
8001 „	10000 „	25	„	2000—2500 „
10001	და მეტს	30	„	პროცენტ.

2. ქ. ქ. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში ვინც იღებს:

901 მ.	1000 მ.	1	პროც.	9—10 მ.
1001 „	1200 „	2	„	20—24 „
1201 „	1500 „	3	„	36—55 „
1501 „	2000 „	4	„	60—80 „
2001 „	2500 „	5	„	100—125 „
2501 „	3000 „	7	„	175—210 „
1000 „	4000 „	10	„	300—400 „
4001 „	6000 „	15	„	600—900 „
6001 „	8000 „	20	„	1200—1600 „
8001 „	10000 „	25	„	2000—2500 „
1000[illegible]	და მეტს	30		

3. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში, ვინც ღებულობს ჯამაგირს:

801 მ.	900 მ.	1	პროც.	8—9 მ.
901 „	1000 „	2	„	18—20 „
1001 „	1200 „	3	„	30—36 „
1201 „	1500 „	4	„	48—60 „
1501 „	2000 „	5	„	75—100 „
2001 „	2500 „	7	„	140—175 „
2501 „	3000 „	10	„	150—800 „
3001 „	4000 „	15	„	450—600 „
6001 „	8000 „	20	„	1200—1600 „
8001 „	10000 „	25	„	2000—2500 „
10001	„ და მეტს	30	„	პროცენტით.

5. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა—ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე აღნიშნული ქალაქისა და ერობის თვითმართველობათა სასარგებლოდ. გადამხდელებს ეძლევათ დაწესებული ბარათი და შეკრებილ ფუთი დაუყონებლივ ეგზავნება კუთვნილებისმებრ ქალაქის ან ერობის გამგეობას გადამხდელთა ცალკე სიით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მათი სახელი, მამის სახელი და გვარი, მისამართი და რაოდენობა გადასახადისა.

6. მეხუთე მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი და საზოგადოთ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ ქალაქისა და ერობის თვითმართველობას სრულიად უსაყიდლოთ ხსენებული თვითმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

უძრავ ქონებათა პატრონებსა, სავაჭრო-სამრეწველო, სარეწავი და სატრაქტირო დაწესებულებებსა, თავისუფალი პროფესიის პირებსა და სოფლის მესაკუთრე მეურნეებზე გასაწერ სასანიტარო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ქალაქში — ქალაქის საბჭო, მაზრაში კი მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა.

8. ქალაქის საბჭოს უფლება აქვს გადამხდელნი დაჰბეგროს ჯგუფობრივ ერთგვაროვნობის მიხედვით.

9. მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა მთელს ჯამს მის მიერ განსაზღვრული გადასახადისას გაანაწილებს სოფლის საზოგადოებათა ან დაბათა შორის.

10. მე-8 და მე-9 მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ქალაქისა და ერობის თვითმართველობისა გადამხდელმა უდავოდ უნდა მიიღოს და ამ დადგენილებათა განსაჩივრება არ შეიძლება.

11. ქალაქის საბჭოს მიერ განსაზღვრული გადასახადი დაწესებულებათა ერთ ჯგუფზედ, განაწილებული უნდა იქნეს ამ ჯგუფის გადამხდელთა შორის თვით მართველობის გამგეობათა მიერ ან გადამხდელთა საზოგადოების კრების ან მათ მიერ არჩეულ კომისიის საშუალებით ორი კვირის განმავლობაში გამგეობისაგან დანაშნულ რიცხვიდან, თუ გადამხდელთა საზოგადო კრება, ან მათ მიერ ამორჩეული კომისია უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზედ, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქ. გამგეობა არ დეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა გაანაწილებს გადასახადს გადამხდელებზედ თავის მოსაზრებისამებრ.

12. სოფლის საზოგადოების გადამხდელ წევრებზე აწესებს გადასახადის რაოდენობას წვრილი საერობო ერთეულების აღმასრულებელი ორგანო, ან სადაც იგი ჯერ კიდევ არ არის, თვით საზოგადოების ყრილობის მიერ ამორჩეული კომისია. ვადას გაწერისა და აკრეფისას განსაზღვრავს სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

13. ეს გადასახადი ყველა გადამხდელმა, როგორც ქალაქად, აგრედვე სოფლად განსაზღვრულ ვადაზედ ერთ დროულად და მთლად უნდა შეიტანოს.

14. ქალაქებში გადასახადის განაწილების შემდეგ ერთი კვირის ვადა ეძლევათ სავაჭრო-სამრეწველოს პატრონებს და თავისუფალი პროფესიის პირთ, რათა განასაჩივრონ საბჭოში.

15. განაწილების ძალაში შესვლის შემდეგ ხარჯის გამღებთ ეგზავნებათ ქალაქებში გადასახადის ფურცლები და ვალდებულნი არიან შეწერილი ფული ფურცლის ჩაბარების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შეიტანონ, სოფლად კი, აკრეფის საერთო წესის გარდა, სოფლის საკრებულოებში უნდა იქნეს გამოკრული სია გადამხდელთა და თვითეულ გადამხდელზედ შეწერილ გადასახადის რაოდენობისა.

16. ვინც ვადაზე არ შეიტანს გადასახადს, ჯარიმად მთელი გადასახადის 50 პროც. შეეწერება.

17. ქალაქისა და ერობის თვითმართველობას უფლება აქვს ამ დეკრეტის განსამარტებლათ შესაფერი ინსტრუქციები გამოსცეს.

18. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 18-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი.

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

დედანთან სწორია თბილისის გამგეობის წევრი **შოთაძე.**

გადასახადთა ბიუროს გამგე ქალაქის გამგეობის წევრი **ხახანაშვილი.**

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12—11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6— 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— — წ.	დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35—3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე დილას.
სამგზავროს	№ 82—4 ს.	4 წ. საღამისი

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა", პუშკინი ს. ჭ. ჩ., სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.